



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2022 წლის 28 ნოემბერი

**დისციპლინური საქმე №186/22
-- -- მიმართ**

დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში 2022 წლის 11 ნოემბერს -- -- მიერ წარმოდგენილ იქნა №-- საჩივარი -- -- მიმართ.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის საფუძველია, თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს -- -- №-- გადაწყვეტილების საფუძველზე, -- --, მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო, გათავისუფლდა მოსამართლის თანამდებობიდან.

იმის გათვალისწინებით, რომ -- -- აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, იგი არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ სუბიექტს. ამდენად, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს -- -- მიმართ არსებულ საჩივართან დაკავშირებით.

შესაბამისად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა და წ ყ ვ ე ტ ა:

-- -- №-- საჩივრის საფუძველზე ყოფილი მოსამართლის -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე ეთქვას უარი.

**ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი**